ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 212

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2010 წლის „3“ „დეკემბერი“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (შემდგომში **შემსყიდველი**) ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის გიორგი ფუტკარაძის სახით, **მისამართი:** ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6, ს/კ 204861943. **საბანკო რეკვიზიტები:** საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ანგ № 200122900. **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. „კაბადონი+“ (შემდგომში **მიმწოდებელი**) მისი დირექტორის თეა გადაბაძის სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 68, ს/კ 205186065. ტელ: 40-90-87; 899-48-02-04; **საბანკო რეკვიზიტები:** ქ.თბილისი, ს.ს. ბანკი „რესპუბლიკას“ ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ა/ა 3608101760.

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარს ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შემსყიდველთან შეთანხმებული თანდართული ნიმუშის შესაბამისად დაუმზადოს და მიაწოდოს შემსყიდველს 100 (ასი) ცალი ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიული ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების, ან ნოუ-ჰაუების ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვის ფორმა (შემდგომში საქონელი) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. საქონლის ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის, რომელიც კანონით ვრცელდება მიმწოდებელზე შეადგენს **150 (ასორმოცდაათი)** ლარს.

2.2 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე, სასაქონლო ზედნადებზე და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ.

3.2 საქონლის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტაციას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის დოკუმენტებს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3.3 სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

3.4 საქონლის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მისამართზე: **ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. № 6, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და ქონებრივად უნაკლო საქონელი.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი საქონელი ზუსტად იმ რაოდენობით, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტში.

5.3 ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის რაოდენობის (მეტობით) დამზადებისა და მისი გამოყენების ან სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისათვის, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.5 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენის საფუძველზე.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 50 (ორმოცდაათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 100 (ასი) პროცენტის ოდენობით.
10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი მინდია ხაზარაძე და ამავე დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი დავით ტაბატაძე (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).
12.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
12.2.1 გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს.
12.2.3 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ

წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერისა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში მისი რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს 2010 წლის 30 დეკემბრამდე.
15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
---	---
გიორგი ფუტკარაძე	თეა გადაბაძე
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	შ.პ.ს. „ჯაბადონი+"-ს დირექტორი